ეროვნული თავდაცვის აკადემია
NATIONAL DEFENCE ACADEMY

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა

გორი
2024 წელი

მუხლი 1. შესავალი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში-აკადემია) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მისი ერთ- ერთი ძირითადი ფუნქციის - აკადემიაში სწავლისა და სწავლების ხარისხის კონტროლის კრიტერიუმების და მათი გამოყენების მეთოდოლოგიის განსაზღვრის, სწავლა/სწავლების პროცესის თანამედროვე მეთოდებით წარმართვის მიზნით შეიმუშავა „ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა“, რათა აკადემიის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს/ინსტრუქტორებს/მასწავლებლებს (შემდგომში - პედაგოგი) შეექმნას გარემო ერთმანეთს გაუზიარონ იდეები და გამოცდილება მიმდინარე სწავლება-სწავლის პროცესის თაობაზე. ამასთან, ურთიერთდასწრება და შეფასება საშუალებას მისცემს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელებს, აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო და სამხედრო სასწავლო განყოფილებებს და ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს, სისტემატურად მიიღონ ინფორმაცია აკადემიაში სწავლება-სწავლის არსებულ მდგომარეობაზე, მათ დადებით და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ყოველივე პრაქტიკულად შეუწყობს ხელს სწავლება-სწავლის პროცესის ამა თუ იმ მიმართულების ეფექტურობას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) **სააუდიტორიო მუშაობა** - ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა და ა.შ.;

ბ) **სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვება** - სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრება არსებული სურათის აღწერის მიზნით;

გ) **დამკვირვებელი** - პირი, რომელიც აკვირდება სასწავლო პროცესს, (პედაგოგი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო და სამხედრო სასწავლო განყოფილებების წარმომადგენლები, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ბატალიონის წარმომადგენელი და სხვა დაინტერესებული პირი);

დ) **სააუდიტორიო მუშაობის შეფასების ფორმა -** დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება დამკვირვებლის მიერ სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვების მიზნით და მოიცავს შემდეგ მონაცემებს - სააუდიტორიო მუშაობის დაწყება, იუნკერებისა და მსმენელების ჩართულობა, სააუდიტორიო მუშაობის დროს გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სააუდიტორიო მუშაობის დროის მართვა, განსახილველი საკითხის და გამოყენებული სასწავლო მეთოდებისსილაბუსთან შესაბამისობა, პედაგოგის აკადემიურობა და ა.შ.;

მუხლი 3. პოლიტიკის ძირითადი მიზნები

1. ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკისძირითადი მიზნებია:

ა) სწავლება-სწავლის პროცესის არსებული მდგომარეობის შეფასება;

ბ) იდეებისა და გამოცდილებების გაზიარება სწავლება- სწავლის პროცესში;

გ) პედაგოგების შესაძლებლობებისა და კომპეტენციების განვითარება;

დ) არსებული სასწავლო რესურსების სრულად გამოყენების შეფასება, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და შემდგომი სრულყოფის გზების დასახვა;

ე) პედაგოგების ხელშეწყობა სწავლება-სწავლის, პედაგოგიკის ასპექტებისა და პრაქტიკასთან დაკავშირებული ტრენინგების უზრუნველყოფით იუნკერთა და მსმენელთა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

ვ) პედაგოგების აქტიური ჩართულობა სწავლება-სწავლის არსებული პრაქტიკის კოლეგიალურ განხილვაში საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე;

ზ) სწავლება-სწავლის საუკეთესო მაგალითების წარმოჩენა და იმ პედაგოგების წახალისება, რომელიც ეფექტურად იყენებს სწავლება-სწავლის მეთოდებს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად;

თ) უზრუნველყოს პედაგოგების ჩართულობა აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებაში;

ი) სწავლება-სწავლის პროცესის ეფექტურობის ხელშეწყობა, პედაგოგების პასუხისმგებლობის,თავდაჯერებულობის, ნდობისა და კოლეგიალობის გაზრდა თანამშრომელთა შორის;

მუხლი 4. ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკის სქემა

1. წინასწარი გრაფიკის დამტკიცების გარეშე, სემესტრის განმავლობაში, დამკვირვებელი (გარდა პედაგოგისა) სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით, სააუდიტორიო მუშაობის შეფასების ფორმის შესაბამისად, ახორციელებს ერთჯერად ან მრავალჯერად დასწრებას სააუდიტორიო მუშაობაზე, რომლის ანალიზს წარუდგენს უშუალო უფროსს შემდგომი რეაგირების მიზნით;
2. სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც უმცროს ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის უფროსი, წარუდგენს უმცროს ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო სკოლის მეთაურს პედაგოგთა მიერ სააუდიტორიო მუშაობაზე ურთიერთდასწრების გრაფიკს, რომელიც თავის მხრივ აკონტროლებს წინამდებარე გრაფიკში გაწერილი აქტივობების შესრულებას;
3. სემესტრის დასაწყისში, ბაკალავრიატი/მაგისტრატურის ხელმძღვანელი მიმართულების ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს პედაგოგთა მიერ სააუდიტორიო მუშაობაზე ურთიერთდასწრების გრაფიკს და წარუდგენს ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საბჭოს, რომელიც ამტკიცებს წარმოდგენილ გრაფიკებს. დამტკიცებული გრაფიკი ეგზავნება აკადემიის შტაბის G3/G2

სამსახურის სამოქალაქო და სამხედრო სასწავლო განყოფილებებს და აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

3.1. შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელი განიხილავს განხორციელებულ საუდიტორიო შეფასებას (შევსებული დანართი N-1-ის შესაბამისად) და ახდენს ანალიზს საუკეთესო პრაქტიკის და პრობლემების გასაუმჯობესებელი გზების იდენტიფიცირებით. აღნიშნული ანალიზი, ანგარიშის სახით წარედგინება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ, წინამდებარე ანალიზს განიხილავს აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო და სამხედრო სასწავლო განყოფილებებთან და აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შემდგომი რეაგირების მიზნით;

4. პროცესის ორგანიზებასა და აღსრულებაზე პასუხიმსგებელია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და საგანმანათლებლო ერთეულის (უმცროს ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო სკოლა) ხელმძღვანელები;
5. დამკვირვებლის მიერ ერთ საუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის დახარჯული დრო განისაზღვრება 50 წუთის მოცულობით;
6. განხორციელებული ურთიერთდასწრება პედაგოგებისთვის აისახება პედაგოგების ინდივიდუალურ დატვირთვაში.

ეროვნული თავდაცვის აკადემია
NATIONAL DEFENCE ACADEMY

სააუდიტორიო მუშაობის შეფასების ფორმა

სასწავლო წელი ---------- სემესტრი[1] ----------

პროგრამა ----------

სასწავლო კურსის დასახელება ----------

სასწავლო ჯგუფის N / ოცეულის N [2] ----------

შესაფასებელი პედაგოგის სახელი და გვარი ----------

(აკადემიური/მოწვეული პერსონალი/ინსტრუქტორი/მასწავლებელი)

შემფასებელის სახელი და გვარი ----------

შემფასებლის თანამდებობა ----------

№	შეფასების კრიტერიუმები	დიახ	არა	არ არის საჭირო	კომენტარი
1	***მეცადინეობის ფორმატი:***				
	ლექცია	☐	☐		
	ჯგუფში მუშაობა	☐	☐		
	პრაქტიკული მეცადინეობა	☐	☐		
	ლაბორატორიული მუშაობა	☐	☐		
2	***სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსთან შესაბამისობა:***				
	მიმდინარეობს სილაბუსის მიხედვით (ლექცია, ჯგუფში მუშაობა და სხვ.):	☐	☐		
	განხილული საკითხები შეესაბამება სილაბუსში მითითებულ თემებს	☐	☐		
3	***მეცადინეობის დაგეგმვა და მომზადება:***				
	სასწავლო ადგილის/აუდიტორია მომზადებულია	☐	☐	☐	
	მეცადინეობის საჭირო აღჭურვილობა შემოწმებულია	☐	☐	☐	
	უსაფრთხოების ზომები გატარებულია	☐	☐	☐	
	სხვა საჭირო ღონისძიებები გატარებულია	☐	☐	☐	
	მეცადინეობის გეგმა მომზადებულია	☐	☐	☐	
	ლექტორს მომზადებული აქვს და იყენებს პრეზენტაციას	☐	☐	☐	

[1] *ავსებს ყველა, გარდა უმცოს ოფიციერთა მომზადების საკანდიდატო სკოლისა*
[2] *ივსება უმცოს ოფიციერთა მომზადების საკანდიდატო სკოლის შემთხვევაში*

	სლაიდების ხილვადობა და კითხვადობა კარგია	☐	☐		
	ლექტორი იყენებს სხვა მატერიალურ საშუალებებს	☐	☐	☐	
	სხვა[3]	☐	☐	☐	
4	***მეცადინეობის ორგანიზება:[4]***				
	მაგ. მეცადინეობა მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: ***შესავალი თემაზე***				
	ლექტორი ასახელებს ახალ თემას	☐	☐	☐	
	აკეთებს თემის შესწავლის საჭიროების და გამოყენების აქცენტირებას	☐	☐	☐	
	ახდენს წინა მასალის დაგეგმილ განმეორებას	☐	☐	☐	
	სხვა	☐	☐	☐	
	ძირითადი ნაწილი				
	ლექტორი აქცენტს აკეთებს მნიშვნელოვან საკითხებზე	☐	☐	☐	
	ლექტორი აკავშირებს იდეებს	☐	☐	☐	
	ლექტორი იყენებს აქტიური სწავლების მეთოდებს[5]	☐	☐	☐	
	ლექტორი მეცადინეობის სხვადასხვა ნაწილებს (ახალი მასალის ახსნა, დისკუსია, დავალებები, სავარჯიშოები, უკუკავშირი და ა.შ.) სათანადო დროს უთმობს	☐	☐	☐	
	ლექტორი აკონტროლებს და მართავს აუდიტორიას	☐	☐	☐	
	ლექტორი მონიტორინგს უწევს იუნკერების/მსმენელების და ჯგუფურ მუშაობას	☐	☐	☐	
	სხვა	☐	☐	☐	
	შეჯამება				
	ლექტორი შეაჯამებს ლექციის მნიშვნელოვან საკითხებს	☐	☐	☐	
	ლექტორი ახალ ახსნილ მასალაზე სვამს შეკითხვებს	☐	☐	☐	
	ლექტორი განმარტავს იუნკერების/მსმენელების მიერ დაშვებულ შეცდომებს და აძლევს სათანადო უკუკავშირს/ მითითებებს და რეკომენდაციებს	☐	☐	☐	
	სხვა	☐	☐	☐	
5	***სასწავლო პროცესში ჩართულობა:***				
	მონაწილეობს იუნკერთა/მსმენელთა უმრავლესობა	☐	☐	☐	
	მონაწილეობენ ერთი და იგივე იუნკერები/მსმენელები	☐	☐	☐	
	კითხვის დასმის, დისკუსიაში მონაწილეობის, მსჯელობისა და აზრის გამოთქმის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია ყველა იუნკერისთვის/ მსმენელისთვის.	☐	☐	☐	
	ლექტორი ცდილობს პროცესში ჩართოს ის იუნკერები/მსმენელები, რომელებიც პასიურობენ	☐	☐	☐	
6	***ლექტორის დამოკიდებულება იუნკერებისადმი/ მსმენელებისადმი:***				
	კეთილგანწყობილი და ობიექტურია	☐	☐		
	პასუხობს დასმულ კითხვებზე	☐	☐	☐	

[3] მეცადინეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ან ლექტორის მოსაზრების შესაბამისად შესაძლებელია მეცადინეობა დაგეგმილი იყოს სხვა ფორმატითაც. „სხვა“ არჩევნის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ, მოიყვანოთ მაგალითი, რას აკეთებს ლექტორი განსხვავებულად.

[4] დოკუმენტში მოყვანილია კარგად ორგანიზებული მეცადინეობის ძირითადი მახასიათებლები.

[5] აქტიური სწავლება - ეს არის სასწავლო აქტივობა, რომელშიც იუნკერები/მსმენელები ჩართულნი არიან როგორც კეთებით ისე ფიქრით (პასიური სწავლებისგან განსხვავებით).

	ამომწურავად პასუხობს დასმულ კითხვებზე	☐	☐	☐	
	კორექტულად რეაგირებს არასწორ კითხვაზე/პასუხზე	☐	☐	☐	
	ხელს უწყობს დამოუკიდებელ/კრიტიკულ აზროვნებას.	☐	☐	☐	
	იღებს კრიტიკას	☐	☐	☐	
8	**ანალიტიკურ / სინთეზური მიდგომა[6]**				
	ლექტორი ადარებს სხვადასხვა თეორიებს და მათ შედეგებს.	☐	☐	☐	
	ლექტორი აცნობს წარსულ, თანამედროვე და მომავალ მიმართულებებს. [7]	☐	☐	☐	
	ლექტორი აკავშირებს მომიჯნავე დარგებთან, წარმოადგენს ფაქტებს და კონცეფციებს.	☐	☐	☐	
	ლექტორი განიხილავს სხვადასხვა შეხედულებებს.	☐	☐	☐	
	ლექციის შინაარსის და გამოთქმული თეორიებისა და მოსაზრებების დასასაბუთებლად ლექტორი ასახელებს ინფორმაციის კონკრეტულ წყაროებს.	☐	☐	☐	
9	ლექტორი ლაპარაკობს მკაფიოდ, გასაგები ხმით და ზომიერი ტემპით.	☐	☐	☐	
10	ლექტორი ინფორმაციას გასაგებად და ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოსცემს.	☐	☐	☐	
11	ლექტორი საჭიროების შემთხვევაში დამატებით განმარტავს ტერმინებს, რთულ საკითხებს, ნათქვამის უკეთ გასაგებად მოაქვს შესატყვისი მაგალითები, შედარებები, ანალოგიები, იყენებს ახსნის სხვადასხვა მეთოდებს.	☐	☐	☐	

<u>**შემაჯამებელი ინფორმაცია დაკვირვების შესახებ**</u>	
განსაკუთრებით აღსანიშნავი დადებითი მხარეები	

[6] მეცადინეობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ერთი ან რამდენიმე მიდგომა;

[7] შესაძლოა მეცადინეობა (მაგ. პრაქტიკული მეცადინეობა) არ საჭიროებდეს ამ მიდგომების გამოყენებას;

განსაკუთრებით აღსანიშნავი გასაუმჯობესებელი მხარეები	
<u>რეკომენდაციები</u>	

N	*დაკვირვების განმახორციელებელი პირი*	თანამდებობა	*ხელმოწერა*
1			
2			
3			

*დაკვირვების ჩატარების თარიღი:*_____

ლექტორის ხელმოწერა: _____